ბანკთაშორისი ოპერაციები, ფინანსური შესრულება და მდგრადობა სადეპოზიტო ფულის ბანკებში

ადეშოლა ოლუნუგა
Ph.D., მენეჯმენტის მეცნიერებების ფაკულტეტი, ფინანების დეპარტამენტი, ლაგოსის უნივერსიტეტი, ნიგერია,
oluadeshola2001@yahoo.com

ოლუსეგან აგბესუიი
ფინანების დეპარტამენტი, ლაგოსის უნივერსიტეტი, ნიგერია,
okagbesuyi@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: ბანკთაშორისი ტრანზაქციები; სადეპოზიტო ფულის ბანკები; ფინანსური მაჩვენებელი; სესხები და დეპოზიტები

JEL classification: G1, G2, G21 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2023.25.05

For citation: Olunuga A., Agbesuyi, O., (2023) Interbank transactions, financial performance and sustainability in deposit money banks**.** Economic Profile. Vol. 18, 1(25), p. 8-17. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2023.25.05

რეზიუმე

ნაშრომი განიხილავს მიმდინარე კვლევებს ბანკთაშორის ტრანზაქციებზე და ნიგერიის სადეპოზიტო ფულის ბანკების (სფბ) ფინანსურ მაჩვენებლებსა და მდგრადობაზე. ლიკვიდურობის შოკების შთანთქმისა და ერთმანეთისათვის სესხების გაცემის შესაძლებლობა ბანკებისათვის გადამწყვეტია ფინანსური სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარებისთვის, ვინაიდან ბანკთაშორისი ტრანზაქციების დაძაბულობამ შეიძლება ზეწოლა მოახდინოს არაფინანსურ კომპანიებზე და მომხმარებელთა დაფინანსებაზე, რაც გაზრდის საკრედიტო რისკს. სუბ-ბაზრის ანალიზი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ფინანსური ბაზრების ეფექტურობის დასადგენად. წარმოდგენილ ნაშრომში სადეპოზიტო ფულის ბანკების მონაცემები შესწავლილია შესაბამისი

სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. ჩატარებული კვლევის ფონზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბანკთაშორისი ტრანზაქციები გავლენას ახდენს ნიგერიის სადეპოზიტო ფულის ბანკების ფინანსურ მდგრადობაზე. კვლევამ აჩვენა, რომ საკრედიტო პოლიტიკის მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვით, სადეპოზიტო ფულის ბანკებმა ბანკთაშორისი სესხები და დეპოზიტები უნდა აღიქვან როგორც ნაკლებად სახიფათო საინვესტიციო ალტერნატივები და შესაბამისად, შეუძლიათ ენდონ ერთმანეთს ფინანსური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად.